**გია გელაშვილი**
*ისტორიის დოტქორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

# ლაზისტანის სანჯაყი

**Wardr.15.4** **ტრაპიზონი, 1872.24.X**

**(მოხსენება შედგენილია ბრიტანეთის კონსულის მიერ თავისი მთავრობისთვის და დაცულია ქ. ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ფონდში)**

ეს სანჯაყი, ანუ ოლქი მესამეა კომერციული თვალსაზრისით, ხოლო პოლიტიკურით და ეთნოგრაფიულით პირველი მნიშვნელობის იმ ოთხს შორის, რომლებიც ქმნიან ტრაპიზონის ვილაეთს. იგი მოიცავს ვილაეთის აღმოსავლეთ ნაწილს – რიზედან რუსეთის საზღვრებამდე. მისი უშუალო გუბერნატორია ფაშა – მუთესერეფის რანგით; ის იმყოფება ბათუმში.

სანჯაყი დაყოფილია სამ კაიმ-მაკამლიკად (kaim-makamliks). პირველს, ალბათ შეცდომით, უწოდებენ ლაზისტანს – ესაა სახელი, რომელიც, თუ მართალს ვიტყვით, ეკუთვნის მეორე კაიმ-მაკამლიკს. ის ვრცელდება რუსული საზღვრიდან – ნიკოლაევიდან ანუ შეკვეთილადან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭოროხის შესართავამდე სამხრეთ-დასავლეთით. [ოლქის] შიდა ნაწილი შემოსაზღვრულია ფოცხოვისა(Poskow) და არტაანის(Ardahan) მხარეებით, რომლებიც მიეკუთვნებიან ერზრუმის ვილაეთს. იგი შედგება ოთხი ნაწილისგან:

პირველი – ყაზა (kaza) ანუ ბათუმის იურისდიქცია. ქალაქ ბათუმის გარდა ამ ყაზაში არის 52 სოფელი 13.388 მცხოვრებით; ამ უკანასკნელთაგან 12.370 მაჰმადიანია, 804 ბერძენი და 214 სომეხი. აღწერის სიას, რომელშიც ადგილობრივი მაცხოვრებლებია მხოლოდ შეტანილი, ახლა უნდა დაემატოს ჩერქეზთა კოლონიები, რომლებიც განსახლდნენ ყაზას საზღვრებში. ისინი შემდეგნაირად განისაზღვრებიან: ჩერქეზები და აფხაზები პირველი, ანუ დიდი ემიგრაციის დროს 1864 წელს გადმოსახლებული – 9500 სული; აფხაზები მეორე, ან უფრო მცირე ემიგრაციისას 1867 წელს – 1200; სულ 10.700 სული. ეს მიგრანტები სოფლებად არ განიხილებიან: მეტწილად შემოინახეს

სახლების შენების თავისი წესი – დიდ ფართებზე ცალცალკე და გაფანტულად. ყველა მაჰმადიანია. ამათ თუ მივუმატებთ ზემოდასახელებულთა რიცხვს, ამ მხარეში გამოდის 24.088 მაცხოვრებელი.

ბერძნებისა და სომხების გამოკლებით, რომლებიც შედარებით ახალი ჩამოსულები არიან (პირველები ტრაპიზონის მეზობლად, მეორენი ლივანას-Liwaneh), ამ ყაზას მოსახლეობა თითქმის ყველა ქართულ-გურული მოდგმისაა; ისინი არიან ლამაზი, შრომისმოყვარე (მეურნე) და უფრო მშვიდი ბუნების, ვიდრე საკუთრივ ქართველები. თუმცა მათ მეთაურებს, რომლებიც ცხოვრობენ ბათუმსა თუ მის ახლოს, ამბობენ, უღალატეს რუსებმა.

ძველთაგან მტრობა (შური) არსებობდა ქართველებსა და ჩერქეზებს შორის, რაც, როგორც სხვაგანაც ხდება, შემორჩა და გაძლიერდა უბედურებისა და გადასახლების გამო; აქედან გამომდინარე, ადვილია ჩხუბის გაჩაღება ძირითად მაცხოვრებლებსა და ახალ მიგრანტებს შორის, რომლებიც ერთად შეჯგუფულან ბათუმის ყაზას საზღვრებში. ამ ვითარებაში რუსული ინტრიგები, ცხადია, მოქმედებდნენ.

ამ მხარის დაბალი ადგილები მდიდარია სიმინდით და ბრინჯით; მაღლობები – ტყეებით.

მეორე ნაჰიე (nahija) ანუ რაიონი, არის აჭარა-ულია, ანუ ზემო აჭარა. ის ვრცელდება მაღალი მთაგრეხილის სამხრეთი კალთის გასწვრივ, რომელიც გამოჰყოფს თურქულ საქართველოს რუსულისგან. მაღალმთიანეთი ხუთი თვის მანძილზე – მაისი-სექტემბერი – წარმოადგენს იალაღს (Yaila), ანუ ზაფხულის საძოვრებს; შვიდი თვე კი ის თოვლითაა დაფარული. მთის ფერდები, განსაკუთრებით ჩრდილოეთის, ანუ ზღვის მხარეზე, უხვადაა შემოსილი გიგანტური სოჭის, ფიჭვის, წიფელის და სხვა ხეთა ტყეებით. მთელი მხარე მდებარეობს ზღვის დონიდან 3.500-7.500 ფუტის სიმაღლეზე. ჩრდილოეთით მდებარეობენ ქვაბლიანისა (Kaboulian) და ახალციხის(Achizka) რუსული პროვინციები; აღმოსავლეთით – ფოცხოვის; სამხრეთით არიან შავშეთის (Showshat) გიგანტური მწვერვალები, რომლებზეც თოვლი მთლიანად არასოდეს დნება.

მკაცრად რომ განვსაჯოთ, ამ მხარეში არაა სოფლები. ადგილობრივთა ხის ქოხები აქა-იქ არიან გაფანტული ხეებს შორის; ზოგჯერ რამდენიმე სახლი ერთად შეჯგუფულად დგას მიწის მცირე ნაკვეთზე, სადაც მთის ფერდის კუთხე იძლევა საშუალებას მოიყვანონ ხორბალი, სიმინდი, შვრია; ასევე აქვთ ცოტა ხეხილი. მუდურ-ი (Mudeer) ანუ გუბერნატორი წარმოშობით ძლიერი და მემკვიდრეობითი ქართველი ბეგია; მისი რეზიდენცია სამფლობელოს თითქმის ცენტრშია და ეწოდება კულაჰ-ი (Kulah).

ზემო აჭარაში სახლთა რაოდენობა დაახლოებით 2.700-ია. ის ითვლის 14.000 სულს; ყველა მაჰმადიანია და ქართულ-გურული წარმოშობის. ყოველი მამაკაცი შეიარაღებულია. ამ მთიელებს უკავიათ აღმოსავლეთ ანატოლიის ე.წ. კარის გასაღები, მისი მთავარი შესასვლელი, ანუ წინა კარი, ყარსის მხრიდან. ერთადერთი გამოყენებული გზა ბათუმიდან მძლავრ რუსულ ციხესა და სავაჭრო ცენტრ ახალციხემდე (Achiska), გადის ამ არეალის შუა ხეობაში – აჭარა-სუ-დერეზე (Ajarah-Soo-Dere) და ეხება რუსულ საზღვარს ვალი-ელიასთან (Wali-Elias), ზედ უმაღლეს თხემზე. ამ გზის ნაწილი მემკვიდრეობითი მუდურის, ანუ გუბერნატორის – შერიფ ბეგის (Shereef Beg) იშვიათი მონდომებითა და ოსტატობით მოყვანილია საუკეთესო მდგომარეობაში, რაც იძლევა მძიმე არტილერიის გატარების საშუალებას. სხვა ადგილას გზა ვიწრო გასასვლელით გადის ზედ უფსკრულის პირას – იგი ერთნაირად თვალწარმტაცია და საშიში.

არსებულ ტრასაზე (სასურველია უკეთესი) ბევრი ტრანსპორტი გადის, თუმცა უამრავი დაბრკოლებით; გაივლის რა აჭარის საზღვარს, ნაწილი მიემართება ახალციხისკენ, ნაწილი, ფოცხოვისა და არსიანის გადასასვლელით, არდაჰანისკენ. სარგებელი მცირე შემოდის ამ მხარის საუცხოო ხე-ტყიდან და ასეც იქნება, სანამ გზა გაუმჯობესდება.

მესამე ნაჰიე (nahija) ანუ რაიონი, არის აჭარა-სუფლა (Ajarah-Supla), იგივე ქვემო (Lower) აჭარა. მას უკავია მთების დაბალი ნაწილი ქვემოთ ბათუმის ყაზამდე, სადაც აჭარა-სუ ერთვის ჭოროხს და ჩანს ზღვა.

ძირითადი რელიეფით, პროდუქტით და მცხოვრებთა ხასიათით ეს მხარე ძალზე გვაგონებს ზემო აჭარას; მხოლოდ განსხვავდება დაბალი მდებარეობით და უფრო რბილი ჰავით. სახლები აქ ერთმანეთის ახლოსაა და იმსახურებენ სოფლის სახელს. დამრგვალებული გამოთვლით აქ 37 სოფელია და 11.000 მცხოვრები. ყველა მაჰმადიანია. ყოველთვის შუღლის მსგავსი ჩნდება ამათსა და წინა ნაჰიას შორის.

მუდური ანუ გუბერნატორი, მემკვიდრე ბეგი ზის ქედაში (Kedah) და ძალზე მკაცრად განაგებს გადასასვლელს.

მეოთხე ნაჰიე, ანუ რაიონი არის ჩორუკ-სუ (Chorook-Soo). იგი მდებარეობს ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზემოთ სასაზღვრო მდინარე ჩორუკამდე (Chorook), რომელიც არ უნდა ავურიოთ ჭოროხში (Chorok). ეს უკანასკნელი არის დიდი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს ლაზისტა-

ნის მთებში ბალაჰორის ახლოს, ბეიბურთის იქითა მხარეს, შორს დასავლეთისკენ.

ის მოედინება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ზღვის ნაპირის პარალელურად, ოღონდ ძალზე დაშორებით ქვეყნის შიგნით; ბოლოს მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისკენ, გაივლის ლივანას (Livaneh) და ბათუმიდან დაახლოებით 8 მილზე დასავლეთით ერთვის ზღვას. ამასთან, სულ თურქეთის ტერიტორიაზე მიედინება. ჩორუკი (Chorook) კი არის მცირე, სათავეს იღებს გურიის მთებში და მოედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ; მის ერთ მხარეს რუსული სამფლობელოა, მეორეზე – თურქული. მის შესართავთან არის პატარა სოფელი, რომელსაც ადგილობრივები შეკვეთილს (Shefkatil), რუსები კი ნიკოლაევს ეძახიან. ჩორუკ-სუს რაიონი თავის მხრივ გურიის დაბალი მხარის ნაწილია, სადაც პირველად აღიმართებიან აჭარის მთები. მისი მთავარი სოფელია ჩორუკ-სუ; ის ძევს საზღვრიდან დაახლოებით 9 მილზე სამხრეთით, ზღვის ახლოს. აქ დგას ფეხოსანთა ბატალიონი.

„მუდური“ ანუ გუბერნატორი არის მემკვიდრე ბეგი. მოსახლეობა მთლიანად მაჰმადიანია, წარმოშობით გურულები, ოტომანთა ერთგული, მიუხედავად რუსთა ინტრიგებისა, რაც შესუსტდა. აქ 50 სოფელია და 21.000 მოსახლე. მოჰყავთ სიმინდი და ბრინჯი; სხვა სამეურნეო პროდუქცია თითქმის გამორიცხულია; მნიშვნელოვანია ზღვაში თევზჭერა. მთელ კაიმ-მაკამლიკში, ბათუმის გამოკლებით, არის დაახლოებით 176 სოფელი და 70.088 მცხოვრები. ამათგან 69.070 მაჰმადიანია, 1.018 – არამაჰმადიანი. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე დაახლოებით 27-ია ერთ კვადრატულ მილზე.

მეორე კაიმ-მაკამლიკი არის არხოვა (Arkhowa). ესაა ნამდვილი ლაზისტანი, ყველგან მკვიდრი ლაზური მოსახლეობით. ის ზღვის ნაპირს მისდევს ჭოროხის შესართავიდან აღმოსავლეთით, რიზეს საზღვრებისკენ დასავლეთით; ქვეყნის შიგნით მას აკრავს ძალიან მაღალი ქედი, ცნობილი ლაზისტან დაღლერის (Daghler), ანუ ლაზისტანის მთების სახელით. ამ სამფლობელოს მთლიანი სიგრძე დაახლოებით 80 მილია, განი – 25, უდიდესი კი 50. აქ ჩვენ გვაქვს ხუთი ქვედანაყოფი.

პირველი – არხოვას ყაზა, ანუ იურისდიქცია. მთავარი სოფელი, სადაც თვით კაიმ-მაკამი ზის, არის არხოვა (Arkhova) ზღვის ნაპირზე, მაგრამ უნავსადგუროდ. ის ძევს თითქმის ნახევარ გზაზე ბათუმსა და რიზეს შორის. სანაპირო კლდოვანია; ნიადაგი, სადაც არაა ტყე და ბუჩქნარი, ნაყოფიერია. მთავარ მოსავალს იძლევა სიმინდი და ხეხილი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მეთევზეა. ნუსხით აქ 51 სოფელია 19.551 მაცხოვრებლით. ამათგან 18.115 მაჰმადიანია, 1.436 „ბერძენი“. უნდა შევნიშნოთ, რომ „ბერძნები“სხვა არაფერია,

თუ არა „ლაზი“, რომლებმაც ბიზანტიის ხანაში მიიღეს ქრისტიანობა და ახლაც გარკვეულწილად ახსოვთ (შეინარჩუნეს). ეს ყაზა კარგად ამარაგებს ოტომანთა მამაცი მეზღვაურებით.

მეორე „ნაჰიე“ არის ჰამშინი (Hamsheen). ის მთლიანად ქვეყნის შიგნით მდებარეობს, ლაზისტანის მთების გარე და შიდა ქედებს შორის ზეგანზე, სადაც იწყება დიდი მდინარე ორთანაჰ-სუ (Ortanah-Soo); იგი გადაკვეთს მხარეს და ათინესთან ახლოს ჩაედინება ზღვაში. მთავარი სოფელია ჰამშინი. გვერდითი გზა, რომელიც ზამთარში გაუვალია, აქედან მიემართება რიზეს ტრასისკენ და შემდეგ ერზრუმისკენ.

ამ მხარეს, რომელიც ჯერ პირადად არ მომინახულებია, ამბობენ, რომ აქვს განსაკუთრებული იაილა (Yaila – იალაღი-გ.გ.), ანუ საძოვრები, გარშემორტყმული ტყიანი მთებით. ჰამშინში არის სომხური კოლონია; ალბათ ესენია თურქმანული ამბების დროს გამოქცეულები. გამოთვლით და დამრგვალებით აქ არის 40 სოფელი და 20.000 მოსახლე. ამათგან 17.000 მაჰმადიანია, 3.000 – სომეხი. არცერთი „ბერძენი“ არაა აქ რეგისტრირებული.

მესამე „ნაჰიე“, ანუ რაიონი არის ათინე (Atineh). მას უკავია ზღვის სანაპირო ზოლი არხოვადან რიზემდე. სახელწოდება ბერძნულია: ათინე იდენტურია ათენის. იქ არის ბერძნული ნანგრევები; პატარა კონცხი და გასაჩერებელი ადგილი (პირეუსის იმიტაცია) გამოშვერილია ზღვისკენ; მისი კლდის ბოლოზე აღმართულია საინტერესო (თავისებური) ბიზანტიური ციხე, რომელიც ამჟამად წყლითაა გამოყოფილი, რაც ნელა, მაგრამ თანდათან აღწევს ამ ნაპირს. ერთ ლიეზე აღმოსავლეთით არის ესკი-ტრაპეზუნის (Eski-Trabezun), ანუ „ძველი ტრაპეზონდის“ ნანგრევები; ეს უნდა იყოს კლასიკური ხანის ბერძნების ტრაპეზუნტი. აქ ათი ათასმა [იგულისხმება ქსენოფონტის „ანაბაზისი“ – გ.გ.], რომელიც მისდევდა მთის ფერდებს თორთუმიდან, გადაკვეთა ჰარპასუსი, ანუ ჭოროხი ბეიბურთს ქვემოთ; პირველად დაინახეს ზღვა დემირ-დაღიდან, ანუ „რკინის მთიდან“ ჰამშინის ახლოს, და ასე დაეშვნენ ნაპირისკენ მაშინ არსებულ ტრაპეზუნდისკენ. თანამედროვე ტრაპიზონი უმთავრესად რომანულ-ბიზანტიური ქმნილება უნდა იყოს და ქსენოფონტის დროს იყო უმნიშვნელო. ესკი- ტრაპეზუნი უეჭველად ბერძნულია.

ათინე, არხოვას მსგავსად, თევზჭერის მხარეა; მაგრამ ნაპირი უფრო დაბალია და ბევრგან აქვს ადგილები ღუზის ჩასაშვებად და მცირე ზომის ნავსადგომისთვის. მხარე, რომელიც არაა დაფარული ხშირი ბუჩქნარით, იელით და შქერით, ნაყოფიერია სიმინდისა და სე-

ლისთვის. აღწერით აქ 22 სოფელია და 8.328 მოსახლე; ამათგან 7.828 მაჰმადიანია, 500 – „ბერძენი“.

მეოთხე „ნაჰიე“ არის გონიო (Konieh). იგი მდებარეობს ჭოროხის მარცხენა ანუ დასავლეთ ნაპირსა და სანაპიროს შორის კუთხეში, ბათუმთან ახლოს. თავად გონიო, ამ მცირე „რაიონის“ მთავარი სოფელი, ძევს მდინარის შესართავთან. მას გააჩნია ფორტი (სიმაგრე), მაგრამ განიარაღებული. აქ დიდი თევზჭერაა; მხარის მოსავალია სიმინდი და ბრინჯი. აქვს 19 სოფელი 6.212 მოსახლით. ამათგან მაჰმადიანია 5.150, ბერძენი – 626, სომეხი – 436. ეს უკანასკნელი არის ახალი კოლონია ლივანადან.

მეხუთე „ნაჰიე“, ანუ რაიონი (სეგმენტი) არის ხოფა (Khopah). მას უკავია ზღვის სანაპირო ზოლი გონიოდან არხოვამდე. მისი მთავარი სოფელია ხოფა. აქ არის მშვენიერი ყურე, სადაც საკაბოტაჟო გემები აფარებენ თავს. ხოფაშია საკარანტინო სადგური და საბაჟო შენობა. ჯანმრთელი ჰავისა და გარემოს სილამაზის გამო ხოფა გახდა საყვარელი საზაფხულო კურორტი მდიდარი ბათუმელებისათვის. სახლების რაოდენობა თვით ხოფაში 120-ია, მაცხოვრებელი – 800.

ხოფასა და გონიოს შორის მთებზე სახლობენ კახაბერის ქურთები (Kakhaber Curdes) – შემაწუხებელი და ხანდახან საშიში მეზობლები. მათთან ითვლიან 150 კარავს. სხვა ქურთები თავიანთ საქონელს აძოვებენ უფრო მაღლა მთებში. ზემოთ დასახელებულთა გარდა, დიდი რაოდენობით გადმოსახლებული ჩერქეზები და აფხაზები გაფანტულები არიან ყველგან კაიმ-მაკამლიკში. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია; ალბათ, სადღაც 10.000-მდე უნდა იყვნენ.

სასოფლო და ზღვის პროდუქტები ხოფას რაიონში(სექციაში) მსგავსია არხოვასა და ათინესი. აქ აღრიცხულია 20 სოფელი და 8.000 მოსახლე. ამათგან 7.700 მაჰმადიანია, 300 – ბერძენი.

ყველა რომ შევაჯამოთ, არხოვას მთელ კაიმ-მაკამლიკში არის 152 სოფელი და 78.091 მოსახლე. აქედან 27.793 იყო მაჰმადიანი; არამაჰმადიანი – 6.298. მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ მილზე დაახლოებით 26-ია. მთლიანად მხარე თხლადაა დასახლებული, მაგრამ, რაც მათ მაცხოვრებლებს სჭირდებათ, ასრულებენ ხარისხიანად, რადგან არიან ანატოლიაში ყველაზე საუკეთესო და ენერგიული მოდგმის წარმომადგენლები. სანაპირო სოფლები მრავალმხრივ ჰგავს აღმოსავლეთ ნორფოლკის სანაპიროს მეთევზეებისას (პორტის მტვირთავებისას).

მესამე კაიმ-მაკამლიკი არის ლივანა (Livaneh). ის მთლიანად შიდა ქვეყანაში მდებარეობს, დიდი მდინარის – ჭოროხის ორივე ნაპირის გასწვრივ, რომელიც აქ მიედინება თითქმის პირდაპირ ჩრდილო-

ეთით. მხარეს ქმნის მდინარის ხეობა (ველი); აღმოსავლეთით მას აკრავს შავშეთისა (Showshat) და არტანუჯის (Ardanooch) მთები, დასავლეთით ლაზისტანისა, ხოლო სამხრეთით ოლთის (Olti) მხარე. განაპირა სამხრეთით ხეობა იყოფა: ერთი ტოტი მიემართება დასავლეთით ბეიბურთისკენ, მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთით ოლთისკენ, საიდანაც გზას მივყევართ ე.წ. „საქართველოს კარით" ერზერუმისკენ. ეს კაიმ-მაკამლიკი უწინ ეკუთვნოდა ერზერუმის „ვილაეთს", მაგრამ გასულ ზაფხულში ჩატარებული ტერიტორიული გადანაწილებისას ის გადაეცა, და სამართლიანადაც, ტრაპიზონს, რომელთანაც უფრო მეტადაა დაკავშირებული ტერიტორიულად და პოლიტიკურად, ვიდრე ერზერუმთან.

ის იყოფა ორ რაიონად (სექციად): პირველია თვით ლივანას ყაზა, ანუ იურისდიქცია. მთავარი ქალაქი იმავე სახელისაა, თუმცა სომეხი მოსახლეობის მიერ იწოდება ართვინად (Artween). ამ ყაზას უჭირავს კაიმ-მაკამლიკის სამხრეთი ნაწილი: ესაა ჭოროხის ხეობის ზემო მიმართულება.

ლივანა, ანუ ართვინი მცირე მანძილზე ძევს ჭოროხის კალაპოტიდან დასავლეთ მხარეზე და დაახლოებით 200 ფუტზე წყლის დონიდან; ამით დაცულია დაბლობის უსიამოვნებებისგან (დახუთვა, ციება–fevers). ბათუმიდან წასულს მდინარის აღმა აყოლებით იქამდე სჭირდება 24 საათი, ხოლო დაღმართით – 8 საათი. იქ არის სახმელეთო გზაც, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყვება და ძალზე ჰგავს უმნიშვნელო საბუქსირო სავალს. ამ გზას ნაკლებ იყენებენ.

ქალაქის მოსახლეობას შეადგენენ – 3.520 მაჰმადიანი, 2.810 კათოლიკე სომეხი, 840 ქართველი სომეხი. სულ – 7.170 სული. აქ არ არიან ბერძნები. მაჰმადიანები ქართველებია; კაიმ-მაკამი, ანუ ლეიტენანტ-გუბერნატორი თითქმის აქამდე იყო ქართული წარმოშობის ბეგი.

ლივანაში ხდება სელის (ტილოს) მნიშვნელოვანი რეწვა. აქ დამზადებული შალის მაგვარი სარტყელი ცალი 50 პიასტრად იყიდება და კარგად მოიხმარება. იგივე საქმიანობა ყვავის ისეთ დიდ სოფლებში, როგორიცაა ბოჩხა (Botjeh), მარადიტი და ყიზილ-თოფრაკი ჭოროხზე დაბლა ქვემოთ. მაგრამ ლივანას მთავარი სავაჭრო საქონელია აბრეშუმი, რომლის დიდი რაოდენობა აქ ირთვება და საექსპორტოდ გადის. ეს ახალი შემოღებულია.

მთების ორივე მხარეზე მოიპოვება ბეწვეული, თაფლი, ცვილი და ხეტყის მასალა. ამ უკანასკნელს ტივებად აცურებენ მდინარეზე. ხეხილი, სიმინდი და ბრინჯი კარგად მოდის ხეობაში.

ყაზას ნუსხა ასახელებს 92 სოფელს და 62.800 მოსახლეს. ამათგან მაჰმადიანი იყო 57.448, არამაჰმადიანი –5.352.

ლივანადან აღმა მდინარე კვლავ სანაოსნოა მოკლე მანძილზე ფაშა-კიოპრიმდე (Pasha-Kopri). აქ გზა უხვევს აღმოსავლეთისკენ, არტანუჯისა და არდაჰანისკენ. ეს უკანასკნელი 12 საათის სავალზე, ან 42 ინგლისური მილითაა დაშორებული.

მეორე ნაჰიე ანუ რაიონი (სექცია) არის მაჭახელი (Majakal). ის მისდევს ჭოროხის დაბალ დინებას მის მარჯვენა მხარეზე, ანუ აღმოსავლეთის ნაპირზე, ლივანას საზღვრებიდან ქვემოთ, აჭარა-სუს ჭოროხთან შეერთებამდე, დაახლოებით 6 მილზე ზღვიდან.

მთავარი სოფელია მაჭახელი, უკვე ნახსენები მდინარის შერთვის ახლოს. მხარე მთიანია და ხშირტყიანი; ძალზე წააგავს აჭარას, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს გეოგრაფიულად. მაცხოვრებლები ქართველებია, ყველა მაჰმადიანი; სოფლები პატარაა და გაფანტული. აღწერით 25 სოფელია და 9.520 მოსახლე. ძირითადი პროდუქტი აქ კარგი ხარისხის ხე-ტყეა, განსაკუთრებით კაკლის ხე.

ლივანას კაიმ-მაკამლიკში გვაქვს 118 სოფელი 72.320 მოსახლით. აქაც კვლავ მაჰმადიანია 66.968 სული, არამაჰმადიანი – 5.352. ეს გახლავთ ყველაზე კარგად დასახლებული მხარე ლაზისტანის „სანჯაყში"; ერთ კვადრატულ მილზე მოდის დაახლოებით 82 მოსახლე.

რომ შევაჯამოთ „სანჯაყის" მონაცემები, მივიღებთ შემდეგს: 446 სოფელი, 220.499 მოსახლე; ამათგან 208.831 მაჰმადიანი და 12.668 არამაჰმადიანი. მოსახლეობის სიმჭიდროვე დაახლოებით 45-ია ერთ კვადრატულ მილზე.

**ბათუმი**

ეს ქალაქი ძევს ღრმა ყურის დასავლეთ მხარეს, დაახლოებით 17 მილზე სამხრეთ-დასავლეთით ჩორუქ-სუდან. 20 წლის წინ ის იყო უბრალო სოფელი, სანამ რუსული „შავი ზღვის სანაოსნო ხაზების" დაფუძნებამ და ფოთის მეზობლობამ მისი კომერციული მნიშვნელობა არ გაზარდა, და ზოგი მხრივ აღემატა ამ სანაპიროთა სხვა ნავსადგურებს.

ახლა ის არის მუთესერეფის, ანუ ვიცე-გუბერნატორის რეზიდენცია, რომლის იურისდიქცია ტრაპიზონის დაქვემდებარებით ვრცელდება თურქული საქართველოს დიდ ნაწილზე და მთელ ლაზისტანზე. ბათუმის ბაზარი მოიცავს 385 დუქანს (მაღაზიას),რომელთაგან ზოგი საკმაოდ კარგად მარაგდება სურსათით, ალკოჰოლური სასმელით, თუ მანჩესტერული საქონლით. სახლების რიცხვი 246-ია; მუდმივად ჩამოსახლებული–1.383, რომელთა ერთი-მეთორმეტედი ბერძენია, ერთი-მესამედი გადმოსახლებული ჩერქეზები. ამათ შეიძ-

ლება მიემატოს 400-მდე მოძრავი მოსახლე, როგორებიც გვხვდებიან საზღვაო ნავსადგურებში.

ქალაქში არის შელანძღული და დაუმთავრებელი კონაკი, ანუ მთავრობის სახლი, ტელეგრაფის სადგური მხოლოდ თურქული გზავნილებისათვის, იმავე ჯურის ფოსტა, საკარანტინო უწყების შენობა ლაზარეთის გარეშე, ორი მეჩეთი, პატარა საჯარო აბანო, საბაჟო, რუსული საკონსულო და სანაოსნო სააგენტო, ბერძნული ეკლესია. ქალაქის მდებარეობა დაბალია და არაჯანმრთელი; ქუჩები უქვაფენილოა; ქალაქი ძალზე ჭუჭყიანია.

ნავსადგური (მის გეგმას ვურთავ) თუმცა პატარაა, საუკეთესოა და დაცულია ქარებისგან, გარდა ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთისა, რომელიც ხშირია აქ და გამოწვეულია მეზობელი კავკასიის ქედის მიმართულებით. ნაპირის ახლოს ღრმაა და ღუზის ჩასაშვები ფსკერი მყარი.

კონსტანტინოპოლის შუქურათა ფრანგულმა კომპანიამ ნავსადგურის შესასვლელის დასავლეთ პირას რკინის ბოძზე დააყენა ორმაგი ნათურა (ფარანი). ხის ნავმისადგომი და ჩასაჯდომი ზოლი, აგრეთვე გემმისაბმელი სამაგრი ააგო რუსულმა კომპანიამ. თურქულ მთავრობას ყოველივე არ მოსწონდა, ხოლო თვით არაფერი გააკეთა არც უსაფრთხოებისთვის, არც პორტის სარგებლიანობისთვის და ხშირად აბრკოლებდა და ცდილობდა შეცვლას.

ბათუმის მნიშვნელობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ქერჩიდან სურმენემდე, ან სინამდვილეში სინოპამდე, მრავალი ასეული მილის სანაპირო ზოლზე არ არსებობს სხვა უსაფრთხო ნავსადგური, ან ისეთი, სადაც სანაოსნო ოპერაციები ხელშეუშლელად ტარდება ყოველ ამინდში.

მართალია, მარტო რუსებმა გაიგეს, როგორ ესარგებლათ ამ უპირატესობებით. მათ ბათუმი გადააქციეს შავი ზღვის ორი სანაოსნო ხაზის შემხვედრ პუნქტად – ოდესა და ქერჩი ჩრდილოეთით, ტრაპიზონი სამხრეთით – აქ ისინი ასრულებენ ჩატვირთვა-ჩასხდომას, გადმოტვირთვა-გადმოსხდომას, რასაც ფოთის ღია რეიდი უსაფრთხოდ ვერ აკეთებს. ამას გარდა, ბათუმის პორტი არის თავშესაფარად მოხერხებული ნავსადგური. ფოთის ბუნებრივი ნავსადგური ახლა ყველაზე მეტად აქტიური კომერციის პუნქტია შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე; ამის მიზეზია ნაწილობრივ ნავიგაცია მდინარე რიონზე, უფრო მეტად კი ტფილისის დასრულებული რკინიგზა. ამრიგად, ყოველ კვირას რუსული ხომალდების ხუთი რეგულარული შემოსვლაა ბათუმში – ერთი ოდესიდან, ერთი ტრაპიზონიდან და სამი პირდაპირ ფოთიდან; ამას გარდა იშვიათი გემებისაც.

ასევეა მრავალი გასვლაც. ინგლისური გემებიც ხშირად სტუმრობენ ბათუმს თავის გზაზე ფოთისკენ, ან ფოთიდან: უამინდობა, დატვირთვის საქმე აიძულებს მათ რამდენიმე დღე გაჩერდნენ აქ. მაგრამ ყველაფერი რუსულ სანაოსნო კომპანიასთან, ანდა ფოთთან შეთანხმებით ხდება. დაბოლოს, ბათუმი არის ქერჩიდან სამხრეთისკენ მიმავალი ორთქლისა და იალქნიანი ყველა გემის თავშესაფარი ცუდ ამინდში, რაც ხშირია ამ ზღვაში.

ეს გარემოებები, მეზობელ საზღვრებს გაღმა ხმელეთითაც და ზღვითაც ხშირ შიდა ურთიერთობებთან ერთად ქმნის იმის საფუძველს, რომ ბათუმის ნამდვილი ცხოველმყოფელობა, რუსული სანაოსნო-სააგენტოსა და საკონსულოს არყოფნისას, უცბად დაუბრუნდებოდა იმ მდგომარეობას, რაშიც ახლო წარსულში იმყოფებოდა – გახდებოდა არაჯანმრთელი პატარა სანაპირო სოფელი, როგორიცაა ჩორუკ-სუ, ან უფრო ნაკლები.

თურქების სანაოსნო კომპანია კონსტანტინოპოლში ასევე გზავნის თავის გემებს ბათუმში, მაგრამ არაპუნქტუალობა და დეფექტური პირობები ხელს უშლიან მათ სერიოზული კონკურენცია გაუწიონ რუსებს. ის რეზოლუცია, რომელიც ოტომანურმა მთავრობამ მიიღო ბათუმის გამაგრების თაობაზე – იყოლიოს დიდი ბატარეა 80 ქვემეხით, აგერ უკვე სამი წელია შესრულების პროცესშია დასავლეთის სასაზღვრო პუნქტში. მსგავსი დანიშნულების და აღმსრულებლობის მეორე დივიზიონი გამწესებულია ყურის უკიდურეს განაპირა სამხრეთისკენ; მესამე კი განიხილება აღმოსავლეთის შემოსასვლელთან.

თვით ბათუმის ადგილობრივი იმპორტი და ექსპორტი (იმისგან ცალკე, რაც დეპოზიტზეა) არაა დიდი. ბუნებრივი კავშირები, სახელდობრ,სამხრეთ საქართველოსა და რუსეთის კავკასიასთან დაკეტილია, რადგან თურქული ანატოლიის მხარეს მას ძალიან სუსტი კომერციული მნიშვნელობის მხოლოდ ორი სატრანსპორტო გზა აქვს. მაგრამ კარგი შარაგზა თავისუფალი მიმოსვლით, ისეთი, როგორიც უკვე არსებობს რუსეთ-საქართველოს ტერიტორიაზე – როგორც ფოთის, ისე შემოვლით ოზურგეთისკენ და ამრიგად ტფილისისკენაც – ასევე დამატებითი ხაზი, დამაკავშირებელი ფოთი-ტფილისის რკინიგზასთან, უცბად მისცემდა ბათუმს ნავაჭრის 9/10-ს, რასაც ამჟამად იყოფენ ტრაპიზონი და ფოთი და რომლიდანაც ლომის წილი ამ უკანასკნელზე მოდის. ამით ბათუმი გახდებოდა კავკასიისა და სპარსეთის საზღვაო ნავსადგური და შავი ზღვის პორტებიდან მნიშვნელობით მეორე ოდესის შემდეგ. მაგრამ ეს ძნელად თუ ასრულდება, რადგან შენარჩუნებულია ამჟამინდელი საზღვარი რუსეთსა და ოტომანთა სამფლობელოებს შორის. ბათუმის ფაქტიური ექსპორტი და

იმპორტი მათივე გამოთვლით და მთელი მხარის მიმატებით, ვფიქრობ, სავსებით გაუტოლდება წლიურად 40.000 ფუნტს. მაგრამ მთელი ტრანსპორტირება (ვაჭრობა) ისე მჭოდროდაა დაკავშირებული კონტრაბანდულ საქმიანობასთან, რომ შეუძლებლად მიმაჩნია სწორი და საიმედო ვითარების არსებობა.

სანაპიროს გასწვრივ ბათუმის რაიონი (district), ეს ვაკე და ჭაობიანი ზოლი, ვრცელდება დაახლოებით 10 მილზე ჭოროხის შესართავამდე. ქვეყნის შიგნით ის ადის აჭარის ტყიან მთებამდე და სწრაფი აჭარა-სუს ჭოროხთან შეერთებამდე. იგი მოიცავს 18 სოფელს – 1.057 სახლს ან ოჯახს, რომელთაგან 300 ჩერქეზებია; ესენი ეკუთვნიან 1864 და 1867 წლებში აფხაზურ ემიგრაციას. აქ არ არიან ადგილობრივი ქრისტიანები. მოსახლეთა მთლიანი რაოდენობა 7.616-ია.

ჩერქეზები უმთავრესად ცხოვრობენ ბათუმის ახლოს ჭაობიან მიწებზე. დანარჩენი მოსახლეობა ქართველებია, ასევე მცირე შერევით ლაზები, მეგრელები და ოსმალოები (Osmanlee). აფხაზები მიდრეკილები არიან ქურდობისკენ; აგრეთვე ჰყიდიან თავის ბავშვებს, რისთვისაც პრივატულად (კერძოდ) პოულობენ მზადმყოფ მყიდველებს თურქთა შორის. ამ მანკიერებას თუ გამოვრიცხავთ, ისინი არიან ასატანი მეზობლები, კარგი მეურნეები, ენერგიულები და საერთოდ გონიერები. სხვა ადგილობრივები ხასიათითა და ჩვევებით ძალიან ჰგვანან თავის ქართველ ნათესავებს ჩორუკ-სუდან. მათი სახლებია ხის ქოხები, ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულები. ჩერქეზთა სახლები, ამის საპირისპიროდ, ერთადაა შეჯგუფული.

ბრინჯი აქ უხვად მოდის და უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე ჩორუკ-სუსთან; შემდეგ მოდის სიმინდი. აგროკულტურების სიას ავსებენ: ცოტა სელი, ბაღ-ბოსტნეული, არც თუ კარგი ხილი და გოგრა. გორაკები დაფარულია ბუჩქნარითა და ხეებით. კაკლის ხის გამოკლებით, ტყეს შეშის გარდა სხვა დანიშნულება არ აქვს. დელფინების(?) თევზჭერა (porpoise-fishery) ამ ნაპირზე იძლევა უამრავი თევზის ზეთის (ქონის) ექსპორტის საშუალებას.

ოფიციალური მონაცემები პირდაპირი გადასახადებისა ქალაქისა და მხარისათვის შემდეგია:

ქონების გადასახადი----------48.703 პიასტრი
სასოფლო-სამეურნეო მოსავლის მეათედი----------121.000 "
ცხვარზე გადასახადი---------- 4.434 "
„ბედელი" (Bedel), ანუ სამხედრო სამსახურიდან
განთავისუფლება, მხოლოდ ქრისტიანებისთვის----------1.021 "
განუსაზღვრელი რაოდენობა (სხვადასხვა)---------- 213.349 "
ამას უნდა დაემატოს –

დამატებითი ქონების გადასახადი---------- 24.200 "
საგზაო გადასახადი ფულით, ან ფულის რაიმე
რეალური საფასით----------22.140 "
ჯამი დამატებიანად შეადგენს----------436.707 პიასტრს,
ან თითქმის 3.971 ფუნტ სტერლინგს; საშუალო რიცხვი წლიური გადასახადისა ოჯახზე დაახლოებით 3 ფუნტია.

ცვლილებები რაოდენობაში, რომლის მიხედვითაც თითოეული მხარე იბეგრება, დაკავშირებულია თვით მხარის საერთო (მთავარ) მახასიათებლებზე....

სანაპირო გზა ბათუმიდან ჭოროხის შესართავამდე წარმოადგენს სოფლის შარაგზას, გამავალს ვაკე ჭაობიან არეზე. ჭოროხზე ფონით გასვლა შეიძლება მხოლოდ რამდენიმე კვირა განსაკუთრებით მშრალ სეზონში; სხვა დროს მასზე გადასვლა მხოლოდ ბორანით (ტროსით, თოკით) ხერხდება, ხოლო წყალუხვობისას, როგორიც გაზაფხულზეა, საერთოდ შეუძლებელია. შესართავთან არის საგუშაგო. ქვეყნის შიგნით ვიწრო შარაგზა მიემართება ბათუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით აჭარის მხარეში, რომელშიც შედის მთავარი ხეობით. მეორე ბილიკი, რომლის ტრასად გადაქცევას ცდილობს თურქეთის მთავრობა, მიჰყვება მთების ძირს, სანამ შევა ჭოროხის ხეობაში და აივლის უფსკრულსა და სწრაფ ნაკადს შორის ლივანას მხარეში. მთელი ეს რეგიონი ეკუთვნის გურჯისტანს და ექვემდებარება ბათუმის გუბერნატორობას. მასში შედის 4 ოლქი, რომლებიც მე მოვიარე და ახლა ავღწერ....

**ბათუმი**

[აქ ჩვენ მოვიტანთ ბათუმის შესახებ გაგზავნილ მეორე მოხსენებასაც, რადგან ის იძლევა საშუალებას შეივსოს ზემომოტანილი მასალა ქალაქის მდგომარეობასთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით – გ.გ.].

ბათუმს აქვს საუცხოო ნავსადგური დასავლეთ მხარეზე. ის თავისი კარგი ხარისხით მესამეა შავ ზღვაზე: პირველია სევასტოპოლი, მეორე სინოპი. ნავსადგურს თითქმის წრის ფორმა აქვს; მისი ბაზა სამხრეთითაა, შესასვლელი კი ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთით. თავშესაფარი ისე სრულყოფილად არის დაცული – დასავლეთით შუქურადან, აღმოსავლეთით მის საპირისპირო მხარეს მდებარე პუნქტამდე, რომელსაც ეწოდება „სერეი", რომ არც ერთი მხრიდან მონაბერი ქარი ვერ იწვევს სერიოზულ შედეგს ნავსადგურის შიგნით. ღუზის ჩასაშვები მშვენიერია, ხოლო ნავსადგურის სივრცე იძლევა

საშუალებას, რომ იქ უსაფრთხოდ დადგეს 20-მდე დიდი გემი (იალ-ქნიანი).

ქალაქი ბათუმი აქამდე იყო ცოტათი დიდი, ვიდრე ლაზისტანის სანაპირო სოფელი, ძირითადად დასახლებული მეთევზეებითა და კონტრაბანდისტებით. მაგრამ ბევრმა გარემოებამ გამოიწვია მისი სწრაფი ზრდა, რაც ახლაც მიმდინარეობს. ახლანდელი აღწერით აქ 4.500 მაჰმადიანია, 350 ბერძენი, 120 სომეხი – სულ 4.970 მოქალაქე. ქალაქის ბაზარი მოიცავს 150 მაღაზიას და კიდევ 50 ახლახანს აშენებულს ნავმისადგომის მეზობლად.

ამას გარდა ბათუმში არის: ვრცელი და კარგად განლაგებული საბაჟო; ქალაქის საზღვრებს შიგნით უხერხულად მდებარე კარანტინი; გუბერნატორის დიდი და ცუდად ნაგები სასახლე; ორი ბატარეის ნარჩენები, თითო მათგანი ნავსადგურის შესასვლელის ორივე მხარეზე; პორტის ორმაგი ლამფიონი (ფარანი) –შუქურადან ერთ ლიეზე. არის ასევე პატარა ყაზარმა (ბარაკი), სადაც ჯარისკაცთა როტაა განთავსებული. საუკეთესოდაა განლაგებული რუსული საკონსულო. რუსი კონსული, რომელიც ამავე დროს ორთქლის გემების სააგენტოს წარმომადგენელია, ისე მოქმედებს, როგორც სხვა ყველა ნაციონალების (ბრიტანელთა ჩათვლით) კონსული. მხოლოდ სპარსელებს ჰყავთ თავისი ცალკე საკონსულოს წარმომადგენელი.

ნავმისადგომიდან, რუსული საკონსულოს ახლოს, გამოდის ხის გრძელი ჯებირი; მის პირდაპირ დამაგრებულია უზარმაზარი ტივტივა, რომელიც ეკუთვნის „რუსულ სანაოსნო კომპანიას“. ეს ტივტივა ბაგირითაა დაკავშირებული ნაპირთან და ისეა მოთავსებული, რომ რუსულ ხომალდებს მისცეს შუა და რაც შეიძლება მოხერხებული დასაყენებელი ნავმისადგომთან. ამასთან, მხოლოდ მათ აქვთ მისი გამოყენების ნება, მაშინ როცა იმავე დროს ის მატერიალურად უქმნის უხერხულობას სხვებს, განსაკუთრებით მცირე საკაბოტაჟო გემებს, რომლებიც ძლიერი ქარისას შემოდიან ნავსადგურში; მათ ხელს უშლიან იგივე რუსული ტივტივა და მისი ბაგირი, რაც არც თუ იშვიათად ხდება მათი ავარიის მიზეზი. ბევრი ნავი და სიცოცხლეც დაიკარგა ასე. ისიც მართალია, რომ ამ ხელისშემშლელი პირობების წინააღმდეგ ნავსადგურის თურქი მფლობელისა და მოსახლეობის სერიოზულ და განმეორებულ პროტესტს მოჰყვა ფირმანი კონსტანტინოპოლიდან ამ დაბრკოლების მოშორების შესახებ. მაგრამ რუსების გავლენა იმდენად დიდია ბათუმში, თუ სხვაგანაც, რომ ფირმანი მკვდარ წერილად აქცია.

ბათუმის მოსახლეობა ძალზე ნარევია; აქ არიან თურქები, ლაზები, ქართველები, ჩერქეზები, აფხაზები და ზანგებიც კი. იმპერა-

ტორის ბრძანებით ყველა შავი გაასახლეს კავკასიიდან. „ბერძნები“, საეჭვო აღწერის მიხედვით, შავი ზღვის პორტებში არიან გავრცელებული. ისინი უმთავრესად არიან მცირე სურსათის მომწოდებლები, ან სპირტიანი სასმელების ცალობით მოვაჭრენი. სომხები ბათუმში არიან ახალი კოლონისტები; ისინი მოვიდნენ ერზრუმის სანახებიდან.

შემჩნეულია ალბათ, რომ აღმოსავლეთის ქალაქში სომხების მატება ძალზე წააგავს მნიშვნელობით ევროპის ებრაელთა მოძრაობას. ესაა ბარომეტრი, რომ აღნიშნო ადგილის მზარდი კეთილდღეობა და მისი ფულადი გარიგებების გაფართოება.

რაც შეეხება ჰავას: მიუხედავად ზოგან ამოშრობითი სამუშაოების წარმოებისა, ჭაობიანი ნიადაგი ქალაქის დასავლეთით ჭოროხისკენ, ბათუმს გარკვეულწილად ციებიანს ხდის. მას შემდეგ, რაც მეზობლად ჩერქეზ-აფხაზთა გადმოსახლება და შედეგად კულტივაციის (მინის დამუშავების) ზრდა მოხდა (უმთავრესად სიმინდის და ბრინჯისა), კლიმატი წლიდან წლამდე უმჯობესდება.

## [კომერცია]

ტრაპიზონიდან აღმოსავლეთისკენ და ირგვლივ ოდესამდე, შავ ზღვაზე გარდა რუსულისა, სხვა ტრასები (ხაზები) ორთქლის გემებისთვის არ არსებობს. შარშანდელ აგვისტომდე ფრანგული „ორთქლის კომპანია“ ანხორციელებდა ცურვას ფოთსა და ტრაპიზონს შორის,.. მაგრამ ახლა ტრასაც და ორთქლის ხომალდებიც მიჰყიდეს რუსეთს...

რაპორტი ეხება ორთქლის ხომალდების სამ სხვადასხვა ტრასას; სამივე რუსულია: პირველი – ყოველკვირეული ტრასა კონსტანტინოპოლიდან ბათუმამდე და უკან. აქეთ-იქით გზაზე შედიან ტრაპიზონში. მეორე – მარშრუტი ოდესიდან ბათუმამდე (სევასტოპოლის, იალტის, ქერჩის და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოვლით). ხომალდები, რომლებიც ამ მარშრუტით დაცურავენ ორ კვირაში ერთხელ, უმეტესად დიდი ზომისაა. რუსულ „შავი ზღვის სანაოსნო კომპანიას“ მოქმედ სამსახურში აქვს 55 ორთქლის გემი, მეტწილად დიდები და შეუძლია იქონიოს 6 ქვემეხი; ესაა უზარმაზარი ფლოტი სავაჭრო სახელით. მეთაურები და ოფიცრები აყვანილია მხოლოდ რუსული სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან.

მესამე – მოკლე გზა ფოთიდან ბათუმამდე. აქ ცურავენ კვირაში ორჯერ მცირე ზომის მსუბუქი ორთქლის გემებით, რომლებსაც შეუძლიათ ფოთის გარეთ, რიონის შესართავთან გადალახონ თავთხელი და გაიარონ 34 მილი იქიდან ბათუმამდე. ხანდახან მესამე გე-

მიც გამოდის კვირის განმავლობაში; ეს დამატება იმისთვის ხდება, რომ დააბალანსოს შემთხვევითი ნაკლებობა ცუდი ამინდის დროს...

შემოსვლა-გასვლის წლიური რაოდენობა 182-ია, ხოლო ტონაჟი – 61.028.....

ინგლისური ორთქლის გემების დანახვა შავ ზღვაში და განსაკუთრებით ბათუმსა და ფოთში, ყველაზე მეტად აშინებს „რუსულ სანაოსნო (სახომალდო) კომპანიას". აქედან გამომდინარე, ბუნებრივია მათი მხრივ მცდელობა, რომ შეიკავონ თავი მათთვის საწინააღმდეგო იდეის წახალისებისგან...

ბათუმი წარმოადგენს პირველ შემკრებ პუნქტს არა მარტო საყოველთაოდ ცნობილი ემიგრაციისა, არამედ მრავალი ინდივიდუალური ემიგრანტისაც, რომლებიც, საზღვრის ფარულად გადმოკვეთის შემდეგ, აქედან მიდიან თურქეთის სხვა პუნქტებში.

ბათუმს ხმელეთით კავშირებისა და კომერციისთვის აქვს ორი გზა. პირველი აჭარის მთებით აღმოსავლეთისკენ მიჰყვება საზღვარს თურქეთის მხარეზე, ჩადის ფოცხოვის ხეობაში და კვეთს საზღვარს ბადელაკ-თან, ბათუმიდან 80 მილზე; აქედან გზა მიდის ახალციხისკენ, სამხრეთ საქართველოსა და ტფილისისკენ. გზის განშტოებას მივყავართ ერევნამდე... სპარსელი ვაჭრები თავრიზიდან ჩვეულებრივ ამ უმოკლესი გზით მოდიან.

მეორე მარშრუტი მისდევს ჭოროხის ხეობას სამხრეთით ლივანასკენ; შემდეგ უხვევს არდაჰანისკენ, საიდანაც სამხრეთ-დასავლეთით უკავშირდება ოლთის და ერზერუმს, სამხრეთ-აღმოსავლეთით ყარსს. ამ მარშრუტს ერთგვარად ამსუბუქებს სამდინარო გზა დაბლა ჭოროხზე ლივანადან ბათუმისკენ...

სუხუმ-კალადან ჩრდილო-აღმოსავლეთით – ტრაპიზონამდე სამხრეთ-დასავლეთით, კარგი კომერციული ნავსადგურის არარსებობისას, ბათუმი აღმოცენდა როგორც დიდი მნიშვნელობის საკაბოტაჟო და თავშესაფარი სადგური.

ერთი სიტყვით, ტრაპიზონისა (თავისი სპარსული ტრანზიტით) და სინოპის შემდეგ (თავისი განთქმული პორტით), ბათუმი მესამე ადგილზეა სამხრეთ შავ ზღვაზე. საუცხოო ნავსადგური, შიდა გზების განახლება, ახლახანს მის მეზობლად ჩერქეზული კოლონიის გაჩენა – ყოველივე მის სასიკეთოდაა და ქალაქი სწრაფად და მყარად იზრდება თავისი მნიშვნელობით.

**[ზოგადი შენიშვნები ტრაპიზონის ვილაეთის შესახებ]**

(ჩვენ ამოვიღეთ მხოლოდ ის ნაწილი, რაც ეხება მოსახლეობას –გ.გ.)

...ეთნოგრაფიული თვალსაზრისით რეგიონი იყოფა სამ განსხვავებულ ნაწილად; სახელდობრ, თვით ტრაპიზონის, ლაზისტანისა და

გურჯისტანის მხარეებად, რომელთაგან თითოეული დასახლებულია ერთმანეთისგან წარმოშობით, გარეგნობით, ხასიათითა და საქმიანობით განსხვავებული ხალხით.

დავიწყოთ ქართველებით, რომლებმაც მისცეს თავისი სახელი გურჯისტანს. გამორჩეულად ლამაზია როგორც კაცი, ისე ქალი; სიამოვნების მოყვარული, მხიარული, გულღია და ცვალებადი ხასიათისაა. მათი ჩვეულებრივი საქმიანობაა მიწათმოქმედება და ხელოსნობა; ორივეში გამოირჩევიან, განსაკუთრებით მეორის დეკორატიულ დარგში. მწყემსობისადმი ნაკლები მიდრეკილება აქვთ და უფრო ნაკლები ვაჭრობისადმი, მედუქნეობისა და კომერციისადმი (მსგავსი რამ მათ ნათესავებშია გავრცელებული რუსულ-საქართველოში, ისიც მაგალითის ძალით). მედუქნეები, რომლებიც გვხვდება თურქულ გურჯისტანში, არიან უცხოელები, უმთავრესად სომხები. ქართველებს უყვართ თავისი ქვეყანა, არ არიან სამოგზაუროდ განწყობილი. იშვიათად შეხვდები მთელ ანატოლიაში, ან ისე შორს, როგორიც კონსტანტინოპოლია სახლიდან წასულს, გარდა საეჭვო სამსახურისა საზოგადო აბანოებში. ისინი გაცილებით ძლიერ მგრძნობიარენი არიან ცივილიზაციის კარგი თუ მავნე სოციალური გავლენისადმი, ვიდრე მცირე აზიის სხვა მაჰმადიანი ხალხები.

ლაზი, რომლის ნაციონალობის შესახებ არსებობს მრავალი, ძველთაგან საეჭვო (ყურით მოთრეული) ვარაუდი, სინამდვილეში არიან მეგრელები – წარმოშობითაც და ენითაც, ჰგვანან თავის ნათესავებს რუსეთის სამეგრელოდან. ისინი არიან ქართველებზე მუქი სახის ფერის და უფრო უხეში ნაკვთების, მაგრამ კარგი და მოქნილი აღნაგობის; ამტანნი, მაგრამ უხალისო მწყემსები; კარგი მედუქნეები და მოვაჭრენი; პირველხარისხოვანი მეთევზეები და მეზღვაურები. არ აკლიათ ტექნიკური ოსტატობა, მაგრამ ქართველებზე დაბლა დგანან. მიწათმოქმედების მხრივ მცირე მიღწევები აქვთ. დაბოლოს, ენერგიულობით, გამბედაობით და გაქნილობით აღემატებიან პატიოსან და მორიდებულ ქართველებს. ამასთან, ნაკლებ არიან მიდრეკილი სოციალური პროგრესის გაკვეთილებისადმი; გარკვეულწილად ფანატიკურები არიან რელიგიურ შეხედულებებში. მოგზაურობენ ხშირად და შორს, მაგრამ იმავე აზრითა და ჩვევებით ბრუნდებიან, როგორითაც წავიდნენ.

ორივე მოდგმა გარკვევით არიო-კავკასიურია. თავის თურანელ მმართველებს – თურქებს უყურებენ როგორც უცხოებს და არ არიან მათდამი განწყობილი. საერთო სახელწოდება ისლამი არის ერთადერთი კვანძი, ამასთან ძალზე ძლიერი, რომელიც აიძულებს მათ მორჩილებბას. მხოლოდ გარეშეებთან ურთიერთობისთვის იყენებს

ორივე თურქულ ენას; ერთმანეთში უცვლელად ლაპარაკობენ თავიანთ დიალექტზე – ქართულად ან მეგრულად. რა თქმა უნდა, გლეხობამ ხშირად სხვა ენა არც იცის.

ტრაპიზონის მხარის აღმოსავლეთის მასახლეობაში ბიზანტიურმა სისხლმა და წყობამ დატოვა კვალი, რომელიც ოთხი საუკუნის მანძილზე არ წაშლილა. მათი შთამომავლობა შეერია ოტომანურ, სომხურ და თურქმანულ წარმომავლობას, თუმცა, თუ სწორად ვუშვებ, შენარჩუნებულია აბორიგენული პონტური სუბსტრატი. ახლა ნარევ ელემენტს ეძახიან „ბერძენს", რაც ჭარბობს აქ მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის და რომლებიც ჰგვანან შესახედავად, ფორმებით და ხასიათით. მაღაზიები და ყველა სახის დატარებითი ვაჭრობა არის მათი უძლიერესი საქმე, მიწათმოქმედება კი უსუსტესი. არიან საკმაოდ კარგი მწყემსები. განსაკუთრებით დაოსტატებულან რთვაში; საუკეთესოდ იციან ქვის და აგურის წყობა....

...ტრაპიზონის მთელი პროვინციის მოსახლეობა ოფიციალური მონაცემებით არის 938.140 სული. აქედან მაჰმადიანია 768.200, ბერძენი 131.074 და სომეხი 38.866....

**Gia Gelashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi state University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientist-researcher of the department of modern and Contemporary History*

## Lazistan and Batumi

### Summary

In the following article there is given a Georgian translation of the Report by British Consul at Trebizond on the population, trade, agriculture of Lazistan and Batumi during the years 1864-69.

In this Report we find valuable information about present conditions of Lazistan and Batumi, their political and economic situation.

This Report is registered in the Wardrop collection of Bodleian Library (Oxford).